პროლეტარეთა ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 299 (18541) ▪ ხუთშაბათი, 30 დეკემბერი, 1982 წელი ▪ ფასი 3 კაპ.

ჩვენ გვსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობითს თანხმობაზე.

დიადი კავშირი

სამოცი წელი ისტორიისათვის დროის მეტად მცირე მონაკვეთია, მაგრამ ჩვენთვის ათას ცხრაას ოცდაორი წლიდან დღეამდე არსებული პერიოდი თავისი მნიშვნელობით, მასშტაბურობითა და შედეგებით საუკუნეებს აღემატება. სწორედ ექვსი ათეული წლის წინათ, 30 დეკემბერს, არა მარტო ჩაეყარა საფუძველი ერთა ძძლე კავშირს, არამედ პირველად აღმოცენდა ყველა ერისა და ეროვნების სრულ თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელსაც დაეკისრა ისტორიული მისია — განეხორციელებინა ყველა ერისა და ეროვნების როგორც იურიდიული ისე ფაქტობრივი უთანასწორობის ლიკვიდაციის თანამიმდევრული გეზი და ხელი შეეწყო თითოეული ეროვნების თავისუფალი განვითარებისათვის, მათი ძმური კავშირის ფარგლებში. ეს იყო ჭეშმარიტი ხორცშესხმა დიდი ლენინის ეროვნული პოლიტიკის პრინციპებისა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად იშვა. სწორედ ლენინური პოლიტიკის საფუძველზე სსრ კავშირმა უზრუნველყო ეროვნული საკითხის რევოლუციურ-კომუნისტური, მართებული გადაწყვეტა.

განვლილი სამოცი წელი იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორ შეძლეს ერთ დიდ ოჯახად გაერთიანებულმა სხვადასხვა ერის შვილებმა ჩამორჩენილობის, უბედურების, გაპარტახების მდგომარეობიდან მიეღწიათ პროგრესის უმაღლეს საფეხურამდე, შეექმნათ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი და თანამედროვე სახელმწიფო.

განვლილმა სამოცმა წელმა ასევე ცხადად გვიჩვენა, რომ ეროვნული საკითხი ჩვენთან ნარმატებით გადაწყდა. საბჭოთა ხელისუფლებამ, დიადმა კავშირმა შეძლეს დეახლოებინათ ქვეყნის მრავალი ერის შვილები, ერთი კალაპოტით ნარემართათ მათი ინტერესები და ურთიერთდახმარება და ურთიერთკავშირი გადაექციათ მოკავშირე რესპუბლიკების, დიდი საბჭოთა ქვეყნის ძლიერების წყაროდ.

ჭეშმარიტად დიდია ამ კავშირის მადლი და მნიშვნელობა. ეს ჯარგად ჩანს ჩვენი რესპუბლიკის მაგალითითაც. საქართველო, რომელიც ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდა, საბჭოთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო. ეს არ შეიძლება. სიამაყის გრძნობით არ ავსებდეს საქართველოს კომუნისტებს, მის ყოველ მშრომელს.

საქართველომ, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ოჯახსნორუფლებიანი საბჭოთა რესპუბლიკა გახდა, ექვსი ათეული წლის მანძილზე უდიდეს ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას მიაღწია. დიადი საბჭოთა ოჯახის ნარმატებებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შეაქვს ის თვალსაჩინო წვლილი, რომელიც დამსახურებულ სახელსა და ავტორიტეტს უქმნის მას როგორც ჩვენს სამშობლოში, ასევე მსოფლიო ასპარეზზე. ამავე დროს იგი სრულად სარგებლობს იმ სიკეთით, რომელსაც მოძმე რესპუბლიკები ურთიერთდახმარებისა და ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებით სთავაზობენ მას.

ასეთია ერთ ოჯახად გაერთიანების მადლი და სიკეთე. ეკონომიკურად და მორალურად ამ ურთიერთგამამდიდრებელი თანამშრომლობის შესახებ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა, რომ „თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას — რუსეთის ფედერაციას, უკრაინას და ბელორუსიას, უზბეკეთსა და ყაზახეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს, ლიტვასა და მოლდაველთს, ლატვიასა და ყირგიზეთს, ტაჯიკეთსა და სომხეთს, თურქმენეთსა და ესტონეთს — თითოეულ, ვიმეორებ, მოკავშირე რესპუბლიკას ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის საერთო აღმავლობაში. და ეს ჩვენი შემოქმედებითი ძალების უბრალო შეკრება კი არა, მრავალგზისი გამრავლებაა“.

დიდი საბჭოთა კავშირის, მისი მშრომელი და გამარჯვე ხალხის ყოველი ნარმატება და გამარჯვება განუყოფელად არის დაკავშირებული მშობლიურ კომუნისტურ პარტიასთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ნარმოადგენს იმ მძლავრ ძალას, რომელიც რაზმავს მილიონობით მშრომელს, უზრუნველყოფს ჩვენს ყოველდღიურ წინსვლას პროგრესისაკენ, ნარმატებით ნყვეტს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

დღეს ოცდაათი დეკემბერია, საბჭოთა კავშირის შექმნის მარადსახსოვარი დღე. იგი მარტო საბჭოთა ხალხის ზეიმი არ არის. ამ დღესასწაულს დიდი სიყვარულით აღნიშნავენ მსოფლიოს პროგრესული ადამიანები, რადგან საბჭოთა კავშირი მათ მიაჩნიათ მშვიდობის ბურჯად, ყველა ჩაგრულისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა ქომაგად. და მართლაც, განუზომელია ჩვენი დიადი ქვეყნის ავტორიტეტი, მისი ძალა და ძლიერება.

გაუმარჯოს ხალხთა ნებაყოფლობით შეძენილს, დიდ საბჭოთა კავშირს, ერთიანს და მძლავრს!

შრომითი გამარჯვება

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშაებლებს, მემონტაჟეებს, ავტომობილმშენებლებს, დამროლეტებლებს, მუშაებლობისა და რეკონსტრუქციის ყველა მონაწილეს

ძვირფასნო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის პროფსაბჭო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ილოცავენ შრომთან გამარჯვებას — წელწადში რამდენიმე ათასი დიზელის ძრავისა და 500 ტონა ფოლადის სხმულის საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებას.

ეს გამარჯვება მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსაწყაზურეების შემოქმედებითი ინიციატივის, პროგრესული ტექნიკური გადაწყვეტების, წარმოების ორგანიზაციის ახალი ეფექტიანი მეთოდების ფართო გამოყენების შედეგია, რაც საშუალებას გაძლევთ დაჩქარებული ტემპით ააგოთ თანამედროვე საქარხნო კომპლესები, შემამდოვებულ ვადებში განახორციელოთ დიდმწარმოებლური მოწყობილობის დამონტაჟება და ათვისება.

თქვენი მიღწევები სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს, საქმთავარმონტაჟსაქმენის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მრავალეროვანი კოლექტივების თავდადებული შრომის, სსრ კავშირის მშენებლობის, სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროების, საბჭოთა ავტომობილმშენებლობის ფლაგმანის — კამის დიდტვირთიანი ავტომობილების საწარმოოო გაერთიანების, დარგის მოხალისეთა საწარმოების, ჩარხებისა და მოწყობილობის მიმწოდებელი ქარხნების, მომმარაგებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების აჟტიური დახმარების შედეგია.

მიღწეულ წარმატების ხელი შეუწყო საბოლოო შედეგის მისაღწევად მშენებლობის ყველა მონაწილის მეცადინეობის გაერთიანებისათვის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშრომული ორგანიზაციების უნარიანმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ.

მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ, რომ მშენებელთა და ავტომობილმშენებელთა მრავალთასიანი კოლექტივი ძალ-ღონეს არ დაიშურებს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოოო სიმძლავრეების შემდგომი ზრდისათვის, ციმბირულად შეასრულებს უახლოეს ამოცანას — 1983 წელს შექმნას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 ათასი ავტომობილის საწარმოო სიმძლავრეები, დიდ წვლილს შეიტანს ჩვენი პარტიის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

გილოცავთ მომავალ ახალ წელს და გისურვებთ, ძვირფასნო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ შემოქმედებით ნარმატებებს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ხუთწლეულის დავალებათა შესრულებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

იყოს ერთისთვის ყველა
და ყველასათვის ერთი,
რომ მიაღწევდეს გურუსს
გაკაჟებული მკერდი.
ვერავინ დაამარცხოს
მტრძნობი მიზანის
სწორის,
მარადჟამს მზიანია
კავშირი გულთა ზორის!
კავშირი გულთა ზორის!
როცა გულს იცნობს გული,
რაა ამაზე უფრო
მშვენიერი და სრული.
გზა გვკონდეს
გამარჯვების
არა ერთის და ორის,
ყველაფერს გადალახამს
კავშირი გულთა ზორის!

გალაკტიონი.

საქართველოს სსრ ხალხთა მხატვრის თენგიზ სამსონაძის პლაკატი.

ნლისთავის გამო

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ნიკოლაე ჩაუშესკუს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს კონსტანტინე დასკალესკუს.

დეპეშაში ნათქვამია:

თქვენი ქვეყნის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი თარიღის — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 35 წლისთავის გამო ვასურვებთ თქვენ და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელს ახალ წარმატებებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებაში, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში. გამოვთქვამთ რწმენას, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა როგორც ორმხრივი თვალსაზრისით, ისე ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში კვლავაც განვითარდება მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევ პრინციპებზე. (სკკპ).

ვაქცინაციისა და გმირობისათვის

კოსმონავტებს სამშობლოს საპატიო ჯილდოები გადაეცათ

მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის ათვისებაში საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ ახალი თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვა. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წინ წარმატებით დამთავრდა ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი — საბჭოთა კოსმონავტების ა. ნ. ბერეზოვოისა და ვ. ვ. ლებედევის 211-დღიანი ფრენა.

29 დეკემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა კოსმოსის გმირებს სამშობლოს საპატიო ჯილდოები გადასცა.

ამხანაგ ვ. ვ. კუზნეცოვის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო!

„სალუტ-7“ სამეცნიერო სადგურში მვიდ თვეს გრძელდებოდა ჩვენი კოსმონავტების დაძაბული გმირული ვახტი, და სამშობლო სამართლიანად სცემს პატივს თავის ორ სახელოვან შვილს — კომუნისტებს ანატოლი ნიკოლოზს ძე ბერეზოვოისა და ვალენტინ ვიტალის ძე ლებედევს.

ფრენის შედეგებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მისალმებაში.

საბჭოთის მოქალაქეთა ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ფრენა საყოველთაო აღტაცებას იწვევს. ამხანაგებმა ბერეზოვოიმ და ლებედევმა მთლიანად შეასრულეს გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების რთული პროგრამა, რომელსაც დიდი სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ამასთან მათ განაგრძეს კოსმოსში საერთაშორისო თანამშრომლობის ესტაფეტაც — სტუმარმოყვარულად | უმასპინძლეს საბჭოთა კაგმირ-საფრანგეთის კოსმოსურ ეკიპაჟს. სადგურში მუშაობდა აგრეთვე საბჭოთა ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში

(დასასრული მე-2 გვ.)

ი. ვ. ანდროპოვი ესაუბრა სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავებს ა. ნ. ბერეზოვოისა და ვ. ვ. ლებედევს

29 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი შეხვდა სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავებს ა. ნ. ბერეზოვოისა და ვ. ვ. ლებედევს.

შეხვედრაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი.

საუბრის დროს ა. ნ. ბერეზოვოიმ და ვ. ვ. ლებედევმა ილაპარაკეს თვიანთი კოსმოსური ფრენისა და „სალუტ-7“ — „სოიუზის“ ორბიტულ კომპლექსში ჩატარებული გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების შედეგების შესახებ.

ი. ვ. ანდროპოვმა გულითადად მიულოცა ა. ნ. ბერეზოვოისა და ვ. ვ. ლებედევს ისტორიაში უხანგრძლივესი 211-დღიანი კოსმოსური ფრენის წარმატებით დამთავრება და სამშობლოს სასატაო ჯილდოები. მან აგრეთვე მიულოცა მათ მომავალი ახალი წელი და უსურვა შემდგომი შემოქმედებითი წარმატებანი საბჭოთა ხალხს საკეთილდღეოდ კოსმოსური სივრცის კვლევაში.

შეხვედრას დაესწრნენ კოსმონავტთა მომზადების ხელმძღვანელი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვ. ა. შატალოვი, ფრენის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვ. ვ. რიუმინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. თ. დმიტრიევი. (საკდესი).



შეხვედრის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ვაჟკაცობისა და გმირობისათვის

(დასასრული)

იყო სვეტლანა სავიცკაია — მსოფლიოში მეორე კოსმონავტი ქალი. ძირითადმა ეკიპაჟმა და ამ ფრენის ყველა მონაწილემ გვიჩვენა ერთსულოვანი, შეთანხმებული მოქმედების მაგალითი.

საგულისხმოა, რომ კოსმოსში დაძაბული მუშაობა თქვენ მიუძღვენით. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. ეს ექვსი ათწლეული, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა აღნიშნა, ჩვენი ქვეყნისათვის ისეთი სწრაფი აღმავლობის დრო იყო, როგორიც ისტორიას არ ახსოვს. ეს არის აღმაფრენა ჩამორჩენილობის, უბედურებისა და გაპარტახების მდგომარეობიდან, თანამედროვე, მძლავრ, დიად სახელმწიფომდე, რომელსაც აქვს კულტურის უმაღლესი დონე და რომლის ხალხის კეთილდღეობა დღენიადაგ უმჯობესდება.

საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის ამ აღმავლობის განუყოფელი ნაწილი, სოციალიზმის უდიდესი აღმშენებლობითი ძალის დადასტურება გახდა ჩვენი კოსმოსური ტექნიკის მიღწევები. აქ არის მეცნიერთა შემოქმედებისა და ხელმარჯვე ოსტატთა იუველირული სიზუსტის შენადნობი, აქ მოჩანს კოსმონავტ მფრინავთა თავდადებისა და გმირობის ნიმუში.

„სალუტ-7" სადგურმა, განაგრძო რა თავისი კოსმოსური წინამორბედების საქმე, კვლავ დამაჯერებლად ცხადყო საბჭოთა კოსმოსური პროგრამის მშვიდობიანი ხასიათი. სადგურში მუშაობს არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ სხვა ქვეყნების ხელსაწყოები და აპარატები. ისინიც ემსახურებიან ქვეყნად მშვიდობის საქმეს, კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესს.

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია და ჩვენი სახელმწიფო ღირსეულად აღნიშნავენ იმათ შემოქმედებითს შრომას, ვინც მონაწილეობს კოსმოსის დაპყრობაში, ვინც მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიჯნებზე დგას.

ყველაზე ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის შესრულების დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის ანატოლი ნიკოლოზის ძე ბერეზოვოის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის" მედალი; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიენიჭა „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდება.

საბჭოთა კავშირის გმირი ვალენტინ ვიტალის ძე ლებედევი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით და მეორე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით.

ძვირფასო ანატოლი ნიკოლოზის ძევ და ვალენტინ ვიტალის ძევ!

გადმოგცემთ რა ამ დამსახურებულ ჯილდოებს, ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მოგილოცოთ თქვენ, კოსმოსელ დღეგრძელებს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ახალ წარმატებებს კოსმოსის ათვისებაში მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის, ჩვენი სამშობლოს, ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის.

• • •

შემდეგ გამოვიდა ა. ნ. ბერეზოვოი. მან გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეკიპაჟის მუშაობის მაღალი შეფასებისათვის, სამშობლოს უმაღლესი ჯილდოებისა და მილოცვის გულითადი სიტყვებისათვის.

სასიამოვნოა იმის შეგნება, თქვა მან, რომ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის დავალება მთლიანად არის შესრულებული. ეს ფრენა კოსმონავტებმა, მეცნიერებმა, ინჟინრებმა, მუშებმა მიუძღვნეს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

211 დღე-ღამის განმავლობაში შესრულდა ასობით სამედიცინო-ბიოლოგიური, გეოფიზიკური, ტექნიკური და სხვა ექსპერიმენტები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობისათვის. ჩვენ გვეწვია ორი ექსპედიცია, მივიღეთ ოთხი სატვირთო ხომალდი, გავედით ღია კოსმოსში.

ამ ფრენამ ცხადყო საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის საიმედოობა და გაზრდილი შესაძლებლობანი.

ეკიპაჟის სახელით მისმა მეთაურმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ ყოველ ღონეს იხმარენ საბჭოური კოსმონავტიკის წინაშე პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული პასუხსაგები ამოცანების შესრულებისათვის, რათა მას კვლავაც მოწინავე მიჯნები ეკავოს მსოფლიოში.

ბორტინჟინერმა ვ. ვ. ლებედევმა განაცხადა, რომ ორბიტული კომპლექსი შესრულებულია მაღალ ტექნიკურ დონეზე. და 211 დღე-ღამის ფრენის დროს ცხადყო მაღალი საიმედოობა და ფართო შესაძლებლობანი მეცნიერული კვლევის პროგრამის შესრულებისათვის.

ფრენის დროს, თქვა მან, მოეწყო დაახლოებით 300 ექსპერიმენტი, გამოკვლევა, დაკვირვება ბევრი ორგანიზაციის, უწყების დავალებით სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის. გამოსულმა აღნიშნა, რომ სადგურს სამეცნიერო-კვლევითის გარდა საწარმოო მიმართულებაც ჰქონდა. ჩვენ ვმუშაობდით ნახევრად სამრეწველო დანადგარ „კორუნდით".

ორბიტაზე, ხაზი გაუსვა კოსმონავტმა, ყოველთვის თან გვდევდა საბჭოთა ხალხისათვის სიამაყის გრძნობა, რომელმაც 60 წლის განმავლობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ასეთ მწვერვალებს მიაღწია.

გამოსვლებს ტაშით შეხვდნენ.

კოსმონავტებს გულთბილად მიულოცეს ჯილდოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ვ. სმირნოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ი. თ. დმიტრიევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა, კოსმონავტთა მომზადების ხელმძღვანელმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ა. შატალოვმა, ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრის უფროსმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა გ. ტ. ბერეგოვოიმ, ცენტრის უფროსის მოადგილეებმა, ავიაციის გენერალ-მაიორებმა პ. ი. კლიმუკმა და ა. ა. ლეონოვმა, ფრენის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა ვ. ვ. რიუმინმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქდესი).

საქმე გამოარჩინა

ოლეგ ჯაჯანიძემ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გადაწყვიტა მუშაობა დაეწყო თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში. მას შემდეგ ათი წელი გავიდა, მონდომებული შრომით ოლეგმა კოლექტივში სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა. იგი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია, ყოველთვიურ გეგმებს 120-130 პროცენტით ასრულებს, არის საამქროს კომკავშირის ბიუროს წევრი. ამას წინათ იგი სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს. გარდა ამისა მოწინავე ზეინკალი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

● ●

სურათზე: მოწინავე ზეინკალი ო. ჯაჯანიძე.

ვ. ვენგიურის ფოტო.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სპარტაკ რეხვიაშვილის წიგნი „ბრძოლებში ნაწრთობი"...

ბრძოლებში ნაწრთობი

საქმის ავტორიტეტი

მუშური პროფესიების სკოლა

...მცხეთასთან ბორცვზე შთაგონებით და მხიარულად შრომობდნენ ყმაწვილები. ზოგი დავიწყების მტვერს სათუთად აცლიდა ცამეტი საუკუნის წინანდელ მშენებელთა ხელით გათლილ ქვებს. ზოგიერთი კი არქეოლოგთა ხელმძღვანელობით აღადგენდა კედლების, სამირკვლების, კიბის მოხაზულობას.

...

ოთ, უფრო მეტად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი.

გ. ლებანიძე,
ო. მატიატინი,
„პრავდის" სპეც. კორ.
„პრავდა" 1982 წლის 29-XII.

ბრინჯაოს კობზარი

ტრადიციად ქცეულ აკაკის დღეს — პოეზიისა და შრომის დღესასწაულს საჩხერელებთან ერთად კანევის რაიონის წარმომადგენლებიც ზეიმობენ.

წარმანდელ ზეიმობაზე ქ. საჩხერის ლამაზ სანაპიროზე საძირკველი ჩაეყარა დიდი კობზარის — ტ. შევჩენკოს ძეგლს. ახლახან კი უკრაინელ სტუმრებთან ერთად საზეიმო ჩამოეხსნა დიდი პოეტის ბრინჯაოს ბიუსტს. მისივე სახელი ეწოდა ქალაქის სანაპირო ქუჩასაც. ბრინჯაოს კობზარი კანეველებმა ჩამოიტანეს საჩუქრად, ნიშნად მარადიული მეგობრობისა.

საპასუხო საჩუქარიც დიდებული მიიღეს უკრაინელმა მეგობრებმა. მეგობრობის გზით პირველად გასცდა საქართველოს ფარგლებს ქვაში გამოკვეთილი პოეზიის ქურუმი დიდი აკაკი და იგი ქალაქ კანევში დაიდებს ბინას. (საკ. კორ.).

ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ხალხთა ლენინური მეგობრობისათვის

საქართველოს სტუმრები

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

1982 წლის 30 დეკემბერი № 825 ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო საბჭოთა შეიარაღებული ძალების ვეტერანებო!

დღეს საბჭოთა ხალხი, არმიისა და ფლოტის მეომრები, სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — მსოფლიოში პირველი ერთიანი მუშათა და გლეხთა საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის 60 წლისთავს. სსრ კავშირის შექმნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგია, ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცოცხალი განსახიერებაა.

შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლების ქარცეცხლში შობილი საბჭოთა რესპუბლიკების ძმური კავშირი გამოიწრთო და განმტკიცდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის დროს, სოციალიზმის აშენებისათვის ერთობლივ ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების შვილები ერთმანეთის მხარდამხარ ებრძოდნენ ფაშისტ დამპყრობლებს დიდი სამამულო ომის წლებში. სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, ინტერნაციონალური შეკავშირება იყო ჩვენი დიადი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი წყარო. საყოველთაო-სახალხო გმირობად იქცა ქვეყნის ომისშემდგომი აღდგენა. სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებამ უზრუნველყო სოციალისტურ ერთა შემდგომი აყვავება. მათ შორის დამყარდა ნამდვილად თანასწორუფლებიანი ძმური დახმარებისა და თანამშრომლობის ურთიერთობა.

ეგებება რა სახელოვან იუბილეს, საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი მიღწევებით, იმ რევოლუციური ისტორიული მისიით, რომელსაც პირნათლად ასრულებს ხალხთა მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში მიმავალი ჩვენი სამშობლო. სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის ახალ შრომით წარმატებებს შთააგონებს საბჭოთა ხალხს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომელმაც განსაზღვრა შემდგომი კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივები, დასახა საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების კონკრეტული პროგრამა.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, შეიარაღებული ძალების მეომრები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის შედეგებს. ისინი უსაზღვროდ ერთგულობენ სოციალისტურ სამშობლოს, მჭიდროდ არიან შეკავშირებული მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ერთსულოვნად უჭერენ მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

საერთაშორისო ვითარების მკვეთრი გამწვავების, იმპერიალიზმის აგრესიულობის გაძლიერების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს საომარი მზადების ზრდის პირობებში არმიისა და ფლოტის მეომრები ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს უშიშროების, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის სადარაჯოზე.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები მეომარ-პატრიოტთა და ინტერნაციონალისტთა ერთსულოვანი საბრძოლო ოჯახია. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულითა და ყურადღებით გარემოსილნი, ისინი განუხრელად იმაღლებენ საბრძოლო მზადყოფნას. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს საბჭოთა მეომრები ხვდებიან ახალი მიღწევებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების არმიებთან ერთიან საბრძოლო მწყობრში ისინი ღირსეულად ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას, საიმედოდ იცავენ სოციალიზმის დიად მონაპოვრებს.

ამხანაგო არმიისა და ფლოტის მეომრებო!

ამხანაგო შეიარაღებული ძალების ვეტერანებო!

გილოცავთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავს!

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 30 დეკემბერს, ადგილობრივი დროით 21 საათზე მიცემულ იქნეს სადღესასწაულო საარტილერიო სალუტი სამოცი საარტილერიო ზალპით, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, ოდესაში, სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, ტულაში, გმირ ციხესიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში კალინინგრადში, ლვოვში, დონის როსტოვში, კუიბიშევში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ჩიტაში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და სევერომორსკში.

გაუმარჯოს მძლავრ და ურღვევ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი
დ. უსტინოვი.

აღნიშნავენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს

გმირული გზის ნათელი მაგალითი

● კამპუჩია

პნომპენი. კამპუჩიელი ხალხი საბჭოთა ხალხთან, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად შთაგონებით აღნიშნავს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს, თქვა კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ჩეა სიმმა.

სსრ კავშირის მიერ 60 წლის მანძილზე განვლილი გმირული გზა ნათელი, შთამაგონებელი მაგალითია კამპუჩიელი ხალხისათვის, ახალი საზოგადოების მშენებლობის გზაზე დამდგარი ქვეყნების ხალხებისათვის, თქვა ჩეა სიმმა.

● ნიკარაგუა

მანაგუა. ნიკარაგუის დედაქალაქში ვაიმართა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომაზე გამოსულმა ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა ვიქტორ ტირადომ ხაზი გაუსვა სსრ კავშირის შექმნის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, რომელიც პლანეტის ყველა ხალხისათვის ეროვნული საკითხის, უმუშევრობის, სიღარიბის, უწიგნურობის პრობლემების გადაჭრის ნიმუშია.

საბჭოეთის მაგალითი გვარწმუნებს, თქვა მან, რომ სოციალიზმი — ეს არის საზოგადოება, რომელმაც თავის ძირითად ლოზუნგად გამოაცხადა ბრძოლა მშვიდობისათვის, ექსპლოატაციისა და ძალადობის ლიკვიდაციისათვის. საბჭოთა კავშირი ელობება ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ ზრახვებს, მათ შორის ცენტრალურ ამერიკაშიც. საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვა პროგრესული ძალების სოლიდარობამ სანდინისტური რევოლუციისადმი შეერთებულ შტატებს საშუალება არ მისცა ჩაეხშო ნიკარაგუაში ეს მოძრაობა.

● ინგლისი

ლონდონი. სსრ კავშირმა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის მომენტიდან უდიდესი გზა განვლო, რომელიც აღინიშნა გიგანტური გარდაქმნებით პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, წერს „მორნინგ სტარი“ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში. ახლა ძნელია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეძლო სისხლისაგან დაცლილმა, შიმშილითა და ნგრევით მოცულმა სოციალიზმის პირველმა ქვეყანამ 20-იანი წლების დამდეგს აღედგინა და გაეზარდა თავისი ეკონომიკური პოტენციალი, გაენადგურებინა ფაშისტი დამპყრობლები და მიეღწია ასეთი საოცარი წარმატებებისათვის სხვადასხვა დარგში.

თუ თვალს გავადევნებთ საბჭოთა კავშირის განვითარების გზას, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მისი მთავრობა მუდამ თანამიმდევრულად გამოდიოდა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, კაპიტალისტურ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის, თანასწორუფლებიანი ეკონომიკური და სხვა ურთიერთობის განვითარებისათვის, აღნიშნულია სტატიაში.

● აშშ

ნიუ-იორკი. თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა კავშირი გახდა მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფო. სსრ კავშირის ხალხებმა მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს არა მარტო ეკონომიკის აღმავლობაში, სოფლის მეურნეობის განვითარებაში, არამედ ისეთი საზოგადოების შექმნაში, რომელიც ადამიანთა თანასწორუფლებიანი და ნამდვილად ძმური ურთიერთობის მაგალითია, განაცხადა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა, ალან ტომსონმა.

...მიცემულ ინტერვიუში, იმის დამაჯერებელი მაგალითია, რომ მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია რეალური უფლებისა და თავისუფლების გარანტია მისცეს საზოგადოების ყველა მოქალაქეს, მათი ეროვნების ან კანის ფერის მიუხედავად.

● ლიბან-ისრაელი

დაიწყო მოლაპარაკება

ბეირუთი. ბეირუთის სამხრეთ გარეუბანში მდებარე დაბა ხალდეში დაიწყო ლიბან-ისრაელის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია. ლიბანის მხარემ, რომელიც დათანხმდა ამ მოლაპარაკებაზე, მთავარ მოთხოვნად წამოაყენა ლიბანიდან ისრაელის ინტერვენციონისტული ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 508 და 509 რეზოლუციების შესაბამისად. ამერიკა-ისრაელის პოზიცია, რომელსაც ნიღბავენ დემაგოგიური მსჯელობით ლიბანის გარშემო ვითარების „ნორმალიზაციის“ შესახებ, ფაქტობრივად მიზნად ისახავს იმას, რომ მაქსიმალური სარგებელი მიიღონ თელ-ავივის აგრესიისაგან, ლიბანის მხარეს თავს მოახვიონ მისთვის აშკარად მიუღებელი პირობები, რაც საფრთხეს უქმნის ლიბანის, როგორც სუვერენული, ტერიტორიულად მთლიანი, და...

...ლეში შეერთებულ შტატებს, რომელიც ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის თანამონაწილეა, აგრესორთან ერთად ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ლიბანისა და პალესტინის ხალხების წინააღმდეგ გენოციდისათვის, ისრაელის ინტერვენტების მიერ ლიბანის ხანგრძლივი ოკუპაციისათვის.

რეგიონში ამერიკის დიპლომატიის მთავარი მეცადინეობა ამჟამად ხმარდება იმას, რომ „გაიყვანონ“ ეგრეთ წოდებული რეიგანის „საახლო-აღმოსავლეთო ინიციატივები“. ამასთან ვაშინგტონი იყენებს ყოველგვარ საშუალებას, აშკარად შანტაჟსა და ძალდატანებასაც კი, რათა ჩიხიდან გამოიყვანოს ეგრეთ წოდებული „კემპ-დევიდის პროცესი“.

მაგალითად, იორდანიის მეფე ჰუსეინთან მოლაპარაკების დროს პრეზიდენტმა რეიგანმა, როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო...

● პორტუგალია

პირველი რაუნდი დამთავრდა

ლისაბონი. პორტუგალიის პრეზიდენტმა გენერალმა ა. რამალიუ ეანეშმა აქ დაამთავრა პრემიერ-მინისტრის ფ. პინტუ ბალსემაუს გადადგომით გამოწვეული მთავრობის კრიზისიდან ქვეყნის გამოსვლის გზების განსაზღვრის მიზნით წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციების პირველი რაუნდი.

სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტების კითხვებზე პასუხის გაცემისას პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა განაცხადა, რომ პორტუგალიის კომპარტიის აზრით, კრიზისის დაძლევის ერთადერთი გზა უნდა გახდეს რესპუბლიკის კრების დათხოვნა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოწყობა. მმართველმა პარტიებმა, თქვა მან, უკვე დაამტკიცეს, რომ არ შესწევთ ძალა გადაჭრან ქვეყნის წინაშე მდგომი მწვავე პრობლემები. ამასთან 12 დეკემბერს გამართულმა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებმა, რომელზეც მმართველი კოალიციის პარტიებმა გამანადგურებელი დამარცხება განიცადეს, მთელი სიცხადით გვიჩვენა, რომ პარლამენტის ახლანდელი შემადგენლობა არ ასახავს პორტუგა...

...იმედი, რომ ისინი შეძლებენ მთავრობის კრიზისის დაძლევას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მმართველი ალიანსის წინადადების გაანალიზების შემდეგ პრეზიდენტს შეუძლია დანიშნოს ახალი პრემიერ-მინისტრი ან დაითხოვოს რესპუბლიკის კრება.

---

29 დეკემბერი

საერთაშორისო დღედაღამის ზურგზე ცხოვრება

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

ბიზნესის სამყაროში

თანამშრომლობა გამდიდრების მიზნით

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაციის მოღვაწეთა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კომპანიათა უმჭიდროესი კავშირ-ურთიერთობა გადაიქცა ამერიკის დედაქალაქის პოლიტიკური ცხოვრების რეალიად. უდიდეს ფირმებს, რომლებიც მრავალმილიარდიან სამხედრო შეკვეთებს იღებენ, მოვალეობად მიაჩნიათ პენტაგონში იყოლიონ „თავიანთი კაცი“. რამდენიმე დღის წინათ სამხედრო უწყებაში თბილ ადგილზე მოიკალათა დიდი აეროკოსმოსური კორპორაციის „ლინგ-ტემკო-ვოუტის“ პრეზიდენტმა პოლ ტეიერმა. იგი თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტზე შეცვლის ფ. კარლუჩის, რომელიც, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა, „კერძო პრაქტიკას უბრუნდება“.

„ლინგ-ტემკო-ვოუტის“ კომპანია, რომელსაც ტეიერი სათავეში ჩაუდგა 1970 წლიდან, შედის „ოლბლიანი“ 500 უდიდესი კორპორაციის პირველ 40 კომპანიაში და დასპეციალებულია „ა-7“ ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენთა წარმოებაზე. ამ თვითმფრინავებით აღჭურვილია სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაცია. იგი აწარმოებს აგრეთვე მრავალლულიან რეაქტიულ ზალპსატყორცნებს — უახლესი სახეობის საარტილერიო შეიარაღებას ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში. შარშან იარაღის ბიზნესმა კომპანიას მოუტანა 386 მილიონი დოლარი მოგება. ამიერიდან, რაკი „თავისი კაცი“ ჰყავს პენტაგონში, ამ კომპანიას საკუთარი მომავალი აღარ აწუხებს — ხელსაყრელი სამხედრო შეკვეთების გარეშე იგი არ დარჩება.

პოლიტიკოსთა და ჯიბესქელთა ალიანსი საიდუმლო საქმიანობის გულდასმით მიჩქმალვას ცდილობენ, მაგრამ პოლიტიკური და ფინანსური სკანდალების დროს, რომლებიც საოცრად შეაძრწუნებენ ხოლმე ამერიკის დედაქალაქს, მჟღავნდება „გამდიდრებისათვის ამგვარი თანამშრომლობის“ მეტად საძრახისი დაწვრილებითი ამბები.

კინოს სიახლენი

„დონ კიხოტის“ ახალი ეკრანიზაცია

რომი. დიდი ესპანელი მწერლის მიგელ სერვანტესის უკვდავი ქმნილების — „დონ კიხოტის“ ახალ ეკრანიზაციას შეუდგნენ იტალიელი კინემატოგრაფისტები...

შრომა და კაპიტალი

აშშ: უმუშევართა პროტესტი



გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისი დამღუპველად მოქმედებს ქვეყნის მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგების მდგომარეობაზე. ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან ითხოვენ მილიონობით მუშასა და მოსამსახურეს,

მაგრამ ძნელბედობამ ვერ გატეხა მშრომელთა ნება. შეუპოვარი ბრძოლით ისინი ცდილობენ თავიანთი სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ილაშქრებენ დათხოვნებისა და მონოპოლიათა მიერ მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფის წინააღმდეგ.

სურათებზე: კლიტე ადევს ჯონთაუნის (პენსილვანიის შტატი) ფოლადსამსხმელო ქარხნის ჭიშკარს. მის ტერიტორიაზე სიჩუმეა და კაცის ჭაჭანება არ არის (ზემოთ). ჯონთაუნში გამართული ფოლადის ჩამომსხმელთა და მათი ოჯახების წევრთა საპროტესტო დემონსტრაცია.

ადნ-საქდესის ფოტო.

● საფრანგეთი

„ნორდ ფრანსის“ მუშათა გაფიცვა

პარიზი. თითქმის ორი კვირაა გრძელდება საფრანგეთის სამშენებლო კომპანიის „ნორდ ფრანსის“ 1900 მშრომელის გაფიცვა, რომლებიც ხელფასის მომატებას მოითხოვენ. შეწყდა მუშაობა ამ კომპანიის სამშენებლო მოედნებზე პარიზში, ლილში, რუანსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში. ბევრმა გაფიცულმა საშობაო დღესასწაული გაატარა პიკეტებში თავის სამუშაო ადგილას.

● ინგლისი

„ტაიმსი“ ორი კვირაა არ გამოდის

ლონდონი. მეორე კვირაა არ გამოდის დასავლეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გაზეთი — ლონდონის „ტაიმსი“. ამის მიზეზია გამომცემლობის ელექტრიკოსთა გაფიცვა, რომლებიც ადმინისტრაციისაგან მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

...შემადგენლობაში ოთხი მთამსვლელია.

ექსპედიციის მიზანია ინდოეთის ოკეანის სამხრეთ ნაწილში კონტინენტის სანაპიროს მახლობლად მდებარე ჰერდის კუნძულის გამოკვლევა.

ექსპედიციის გზა ავსტრალიაზე გადის, სადაც ავსტრიელ მთამსვლელებს ადგილობრივ მეცნიერთა ჯგუფი შეუერთდება.

კოლიციური ქრონიკა

აღმოაჩინეს კონტრაბანდა

ტოკიო. იაკუძევში განგსტერული სინდიკატებისათვის განკუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღის დიდი პარტია აღმოაჩინა ქალაქ ხიროსიმის პოლიციამ. ხიროსიმის რაიონში ერთ-ერთ გზაზე ავტომანქანა-რეფრიჟერატორის გაჩხრეკისას პოლიციელებმა ნახეს 125 პისტოლეტი და 13 ათასი ვაზნა.

წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ იარაღი და ვაზნები ადგილობრივი განგსტერების მიერ კონტრაბანდული გზით იაპონიაში შემოტანილია იტალიიდან.

შემთხვევები

აფეთქება გაზის საბადოში

ნიუ-იორკი. ძლიერი აფეთქება მოხდა გაზის საბადოში, რომელიც ამერიკის ქალაქ ჰიუსტონიდან (ტეხასის შტატი) 80 კილომეტრზე მდებარეობს. შედუღების სამუშაოების დროს ცეცხლი წაეკიდა ბუნებრივი გაზის კონდენსატის შესანახ 400 ბარელი ტევადობის ნაწილობრივ შევსებულ ავზს. ავარიის შედეგად დაიღუპა სამი მუშა და სამი ხერიოზულად დაშავდა.

ესტაფეტა: კრივოი როგი—რუსთავი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მებრძმედეებმა კრივოი როგიდან მიიღეს ზეგეგმითი ლითონის გუნდებით დატვირთული მძიმეწონიანი ეშელონი. ეს პირველი ეშელონია პროდუქციით, რომელიც აწარმოეს უკრაინელმა მეგობრებმა მომავალი წლის ანგარიშში, — ნათქვამია ქართველ მეტალურგთა სახელზე მოსულ წერილში. დამკვრელური ვახტი დაიწყეს აფეთქებლებმა: გ. გორდეევის, ა. გოლიკოვისა და ნ. მაზურის ბრიგადებმა მოამზადეს და განახორციელეს ისეთი სიძლიერის აფეთქება, რომ ერთჯერად გამოანგრიეს მილიონზე მეტი მადანი.

ესტაფეტა აიტაცეს ბ. ჟივლიუკის ბრიგადის მეექსკავატორეებმა. მექანიზატორებმა ისე შეამჭიდროვეს სამუშაო დრო, რომ ყოველ ცვლაში დაზოგეს თითქმის ერთი საათი. ეს კი ასობით ტონა დამატებითი მადანია, რომელიც გაიგზავნა გადასამუშავებლად. მოგუნდავების საამქროებში „მეშური ესტაფეტის“ პრინციპით გაშლილ შეჯიბრებაში წინ არიან ვ. ვიშნევსკისა და პ. ბაზალუცკის ცვლები.

ყოველდღიურად კომბინატიდან იგზავნება ეშელონები რუსთავში. მარტო დეკემბერში ქართველ მეტალურგებს გამოეგზავნათ 50 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ლითონის გუნდები—გაცილებით მეტი, ვიდრე წინა თვეში.

ტიის ეროვნული პროგრამის მოთხოვნებს, ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა დაუყოვნებლივ სცადეს ამ ფაქტის გამოყენება ლენინური პარტიის ეროვნული პოლიტიკისა და პრაქტიკის ფალსიფიკაციისათვის, ისინი ხო...

ლიტბიუროს წევრებს წერს წერილს, რომელიც შეიცავდა „ავტონომიზაციის“ პროექტზე მრავალი არსებითი ხასიათის შენიშვნას. მან ფაქტიურად წამოაყენა პრინციპულად განსხვავებული პროექტი საბჭოთა რესპუბლიკების გაერ...

ჩვენი თანამედროვენი

გზა დრუზლებისაკენ

მრავალი წლის წინათ თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის რომ ეთქვათ, 1956 წლის 150 კურსდამთავრებულთა შორის ოცდახუთი წლის შემდეგ 92 მეცნიერების კანდიდატი და შვიდი დოქტორი იქნებაო, ალბათ, ისინი არა მარტო გაიხარებდნენ, დაეჭვდებოდნენ კიდეც. კურსი, უდავოდ ძლიერი იყო, მაგრამ რაღაც ძალიან „უხვმოსავლიანი" გამოდგა სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებათა მხრივ.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეს განწესებული თანაკურსელები მოღვაწეობენ უდიდეს სამეცნიერო ცენტრებში, წარმომადგენლობენ ჩვენს მეცნიერებას კონფერენციებზე, საერთაშორისო სიმპოზიუმებზე.

ვლადიმერ გრამიტონის ძე ხორგუანი სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო კომიტეტის მაღალი მთის გეოფიზიკის ინსტიტუტის მიკროფიზიკურ გამოკვლევათა ლაბორატორიას ხელმძღვანელობს.

მისი სადოქტორო დისერტაცია „სეტყვის წარმოქმნისა და ზრდის მიკროფიზიკა" შეფასდა როგორც მნიშვნელოვანი წვლილი მეცნიერებაში, როგორც მისი ახალი მიმართულების განვითარება.

ინსტიტუტში ხორგუანი ოცდამექვსე წელია მუშაობს, ერთი სიტყვით, პრაქტიკულად აქ დაიწყო შრომითი მოღვაწეობა. ამ კოლექტივში განვლო გზა რიგითი თანამშრომლიდან ერთ-ერთი წამყვანი ლაბორატორიის ხელმძღვანელამდე. აქ გახდა იგი პარტიის წევრი, აირჩიეს ინსტიტუტის პარტბიუროს მდივნად, ამჟამად ხელმძღვანელობს თეორიულ სემინარს ფილოსოფიაში. ეს არის მისი პარტიული დავალება. გარდა ამისა, იგი კოორდინაციას უწევს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს მუშაობას.

ძნელი სათქმელია, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება პროფესორ გ. ქ. სულაქველიძეს რომ არ შეხვედროდა.

ერთხელ, დეკანის მოადგილემ ლ. გედევანიშვილმა უფროსკურსელ ხორგუანს უთხრა:

— სულაქველიძე გვესტუმრა ნალჩიკიდან. იგი თანამშრომლებს აგროვებს იალბუზისპირეთში სამუშაოდ. ამბობენ, ყოფილა მოსკოვში, ლენინგრადში და ახლა ეცნობა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს. მიდი მასთან... ეგებ, შენც გაგიტაცოს მისმა საქმემ.

... ვლადიმერს შუატანის, ჩასკვნილი, საოცრად მოუსვენარი და ენერგიული კაცი შეეგება. სწორედ ეს გახლდათ გიორგი კონსტანტინეს ძე სულაქველიძე. მან გაცნობისთანავე მოაჯადოვა სტუმარი თავისი გატაცებით, ფართო ინტერესებით, იდეათა შთაგონების უნარით.

გამომშვიდობებისას სულაქველიძემ უთხრა:

— შენ ხომ მთაში დაიბადე და გაიზარდე... მთა გიყვარს. მოდი, იალბუზისპირეთში იმუშავე. უზრუნველ ცხოვრებას ვერ დაგპირდები, მაგრამ საინტერესო რომ იქნება — ამაში მერწმუნე.

და ხორგუანმა მაშინვე უყოყმანოდ მიიღო გადაწყვეტილება.

... დიპლომის მიღების შემდეგ ვლადიმერი ნალჩიკში ჩავიდა, მთაში მუშაობის უფლების მისაღებად გაიარა სამედიცინო კომისია და იალბუზისპირეთს, ტერსკოლს მიაშურა. მუშაობის დაწყებამდე მას, ისევე როგორც სხვა კურსდამთავრებულებს, თავისებური გამოცდა უნდა ჩაებარებინა.

გამომცდელნი მკაცრნი აღმოჩნდნენ, თანაც ოთხივენი პროფესორები იყვნენ: გ. სულაქველიძე, ლ. ლევინი, ს. როდიონოვი, გ. ტუშინსკი.

გამოკითხვის დამთავრების შემდეგ სწავლულებმა ცოტა მოითათბირეს, მერე კი სულაქველიძემ უთხრა:

— პროფესორ ლევინის ჯგუფში იმუშავებთ. ლევ მიხეილის ძე ცოტა ხნის შემდეგ აგიხსნით, რა უნდა გააკეთოთ... ასე დაისადგურა ვლადიმერ ხორგუანის ცხოვრებაში ღრუბელთა ფიზიკამ, და ახლა შეიძლება ითქვას, რომ დაისადგურა მტკიცედ და ხანგრძლივად.

დაიწყო ბეჯითი შრომის წლები, დაძაბული ყოველდღიური მუშაობა ქვეყნის წამყვან მეცნიერთა ხელმძღვანელობით. მეხსიერებას შემორჩა გულთბილი მოგონებანი ბევრ მათგანზე. მაგრამ ყველაზე ძლიერი ზეგავლენა ახალგაზრდა მეცნიერის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გ. სულაქველიძემ და ლ. ლევინმა მოახდინეს, რომლებმაც კვლევითი მუშაობისადმი ღრმა ინტერესი შთაუნერგეს.

თავისი დამრიგებლებისაგან ვლადიმერ ხორგუანი სწავლობდა შეუპოვრობას, მიზანსწრაფვას, მარცხის შემთხვევაში — გულგაუტეხელობას, საჭიროების დროს — გამბედაობის გამოჩენას.

... ამ რამდენიმე წლის წინათ ასეთი რამ შეემთხვა: ჩვეულებისამებრ, დილით, როცა არ იყო გათვალისწინებული რაიმე ექსპერიმენტი, ხორგუანი ინსტიტუტში მოვიდა. მთელი მისი გარეგნობა — ქათქათა თეთრი ხალათი და მოხდენილი პორტფელი „დიპლომატი" — იმას მეტყველებდა, რომ დღეს იგი აქ ადგილზე — თავის ლაბორატორიაში — აპირებდა ყოფნას. გავიდა ცოტა ხანი, და მას შეატყობინეს — სასიკეთო პირობები იქმნება კომპლექსური ექსპერიმენტისთვისო.

— დამელოდეთ! — გასცა მან განკარგულება... მე ვერტმფრენით გამოვფრინდები და მალე შეგიერთდებით, გაზომვებს ერთად შევასრულებთ. გააფრთხილეთ ეკიპაჟი, მზად იყოს.

შინ წასვლის, ტანისამოსის გამოცვლისა და მზადების დრო აღარ იყო.

„იყოს, საღამოს დავბრუნდები", — გადაწყვიტა მან, როცა უკვე ვერტმფრენში ჯდებოდა. აფრენისთანავე ახალი გაზეთი გადაშალა და გულდასმით დაიწყო კითხვა.

— ვლადიმერ გრამიტონის ძევ, — ცოტა ხნის შემდეგ მიმართა მას მფრინავმა, — უნდა დავჯდეთ, მეტი გზა არაა.

მხოლოდ ახლაღა მოსწყვიტა თვალი მისთვის საინტერესო სტატიას ხორგუანმა და მყისვე შენიშნა, როგორი მყუდროება ჩამოვარდა კაბინაში... ვერტმფრენი დაბლა ეშვებოდა — რომ არა ვთქვათ, ვარდებოდა. მფრინავი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა როგორმე დაესვა მანქანა.

ამოცანა ადვილი როდი იყო: ქვემოთ ღრმა ხევია, გარშემო — სალი კლდეები, და მიწა სულ უფრო ახლოვდება...

მართლაც რომ, ბეწვზე გადარჩნენ ორივენი — მფრინავიც და მეცნიერიც. ნაიძულევი დაჯდომისას ვერტმფრენი სერიოზულად დაზიანდა, რის ვაი-ვაგლახით კარიდან გადმოსულებმა ერთმანეთს მიულოცეს ასე იოლად გადარჩენა. გარშემო მიმოიხედეს: უკაცრიელი, საზარელი ადგილი იყო.

მათ იმ დღეს კიდევ ერთხელ გაუღიმა ბედმა: ვერტმფრენის იძულებითი დაშვება ხალხს შეენიშნა და ავტომანქანით მოსულებმა დახმარება შესთავაზეს.

... მეორე ვერტმფრენი მალე მოფრინდა. მაგრამ დღე ისეთი ჩანდა, რომ იტყვიან, „უარესს ვერ ინატრებდი". ის იყო აფრინდნენ, რომ მაშინვე დარწმუნდნენ — ვერსად წავიდოდნენ.

... როცა მეორე დღეს ხორგუანმა ნალჩიკს მიაღწია, ინსტიტუტში „ახარეს": სულაქველიძეს განკარგულება გაუცია მოამზადონ ბრძანება: „ექსპერიმენტის ჩაფუშვისათვის"...

— ბატონო გიორგი, მომისმინეთ მაინც, — შეევედრა ხორგუანი.

— ლაპარაკიც არა მსურს. სად იყავი? სადაა ვერტმფრენი? რატომ ჩაშალე ექსპერიმენტი? — გაგულისებული პროფესორი არ ხუმრობდა და მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ხიფათიანი დღის ამბავი შეიტყო, წუთით შეჩერდა — იქამდე იგი ბოლთასა სცემდა კაბინეტში, — მერე გაუღიმა და გადაეხვია თავის მოწაფეს.

მეცნიერებაში გამარჯვება მეტწილად რაიმე განსაკუთრებულ გარემოებაა ან გაბედული, გააზრებული რისკის შედეგი კი არ არის, არამედ გარშემომყოფთათვის უხილავი ყოველდღიური მოღვაწეობის ნაყოფია, რომელიც მწიფდება სადაგ, უფერულ და არა საზეიმო, უქმე დღეებში.

ლაბორატორია, რომელსაც ვლადიმერ ხორგუანი მეთაურობს, სწავლობს ღრუბელთა ფიზიკასა და აქტიური ზემოქმედების პრობლემებს. შეიქმნა თანამოაზროვნეთა კოლექტივი, სადაც ურთიერთობა ემყარება სრულ ურთიერთგაგებასა და ურთიერთნდობას, მჭიდრო წვლილში ერთმანეთის მისაშველებლად მზადყოფნას.

ლაბორატორიას მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება. ეს კოლექტივი მესამე წელია გამარჯვებული გამოდის ინსტიტუტის სოციალისტურ შეჯიბრებაში, არაერთხელ მიუღწევია წარმატებისათვის საკავშირო შეჯიბრებაშიც.

გამოკვლევაში დიდი ხანია გასცდა ლაბორატორიის კედლებს, მეტწილად კვლევა-ძიება უკვე უშუალოდ ბუნების წიაღში მიმდინარეობს. მეცნიერთა დასახმარებლად გამოყოფილია ვერტმფრენები და თვითმფრინავები. არსებითად ესენი მფრინავი ლაბორატორიებია, ყველაზე თანამედროვე უნიკალური აპარატურით აღჭურვილი. აი მაგალითად, ატმოსფერულ ნაწილაკთა ფიზიკური თვისებების გამოსაკვლევად შექმნილი აპარატურის სპეციალური კომპლექსი, რომელიც შესრულებულია გამოგონების დონეზე. ეს აპარატურა შეიმუშავეს აქ, ამ ინსტიტუტში — ვ. ხორგუანმა, გ. სტეპანოვმა, გ. მიაკონკიმ — ლაბორატორიის თანამშრომლებმა.

ვლადიმერ ხორგუანის ანგარიშზეა ცხრა გამოგონება, რომლებზეც მიღებული აქვს საავტორო მოწმობები. ახლა კიდევ ოთხი განაცხადი აქვს წარდგენილი.

— სეტყვასაწინააღმდეგო დაცვის საშუალებათა გამოყენება დადებითის შედეგს იძლევა, — ამბობს ხორგუანი — ცხადია, ჯერ ადრეა იმის თქმა, თითქოს ამ მიმართულებით ყველაფერი გაკეთდა. ჩვენი ლაბორატორიის ინიციატივით შეიქმნა სეტყვასაწინააღმდეგო ყუმბარა „იალბუზ-4". იგი გაცილებით უფრო ეფექტიანად მოქმედებს სეტყვაზე, ვიდრე წინანდელი იარაღი. მისი მოდერნიზება დაკავშირებულია გასროლის თვითლირებულების შემცირების აუცილებლობასთანაც.

ფუნდამენტური გამოკვლევანი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვენ. ჩვენი გამოგონებანი გამონაკლისს არ წარმოადგენენ. მის შემუშავება-დანერგვაში მონაწილეობს სხვადასხვა სპეციალობის მუშაკთა ჯგუფი. მე, როგორც ხელმძღვანელი, ჯგუფის მთელ მუშაობას წარვმართავ, — ვამოწმებ ცალკეულ მუშაკთა მიერ დავალების შესრულებას, ვანზოგადებ მიღებულ შედეგებს.

მეცნიერული მოღვაწეობის ოცდახუთი წელი საკმაო დროა ნაღვაწის შესაფასებლად. ამ ხნის მანძილზე ხორგუანმა მოიპოვა მეცნიერების კანდიდატისა და დოქტორის წოდებანი, გამოაქვეყნა ათობით მეცნიერული ნაშრომი ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, არაერთხელ წარმომადგენლობდა საბჭოთა მეცნიერებას სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე; ვლადიმერ ხორგუანის ბევრი ნამოწაფარი ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტიდან შემდგომ მისი ასპირანტი, კოლეგა გახდა.

ხორგუანის ოცნება...

იგი საწერი მაგიდიდან იღებს ერთ ფურცელ ქაღალდს და თვალსაჩინოებისათვის მიხატავს ღრუბელს, თან მიხსნის.

— საელჭექო ღრუბელი წარმოქმნიდან, ასე ვთქვათ, „სიკვდილამდე" მხოლოდ ერთ-ორ, დიდი-დიდი სამ საათს ცოცხლობს, იმას ვოცნებობ, რომ შევაღწიო მასში, ღრმად ჩავწვდე და თვალი ვადევნო ყველა პერიოდში.

ამჟამად ჩვენი მფრინავი ლაბორატორია ზომავს, თუ რა ხდება ღრუბლის ქვემოთ, ზემოთ და საღლაც მის გვერდით. დღემდე არ ხერხდება თვითაქტიური სეტყვათწარმოქმნის მომენტში მისი აშკარა გამოკვლევა. ეს კი უაღრესად საჭიროა, გარდუვალია. მაგრამ არ არსებობს ისეთი თვითმფრინავი, რომელიც გაუძლებდა ამას. სეტყვის ღრუბლის წარმოქმნის ენერგია უზარმაზარია. მას დნეპრჰესის ენერგია თუ შეედრება, ასე რომ, გვჭირდება ახალი თვითმფრინავი თავისი ახალი აპარატურით.

სქემატურ ნახატ ნახაზზე ჩნდება ისრები: ეს თვითმფრინავებია, ყოველი მათგანი იმუშავებს თითოეულისათვის განკუთვნილ ზონაში, იგი უკვე იმ დროება-განზომილებაში ცხოვრობს, როცა თვითმფრინავები მოქმედებენ. აქ კი, ამ ფარატინა ქაღალდზე, წარმოისახება წვრილი წყვეტილი ტეხილი ხაზი და დედამიწა. ის დაელოდება ჩვენს მონაცემებს და მყისვე დაამუშავებს მას.

— გავა, ალბათ, სამი-ხუთი წელი, მეტი ან ნაკლები. და მე მწამს, რომ ასე იქნება — მეცნიერის ხმას აღელვება ეტყობა, თაფლისფერი თვალები გამომცდელად და დაძაბული გიმზერენ, თითქოსდა ეკითხებიან: შენც ხომ გჯერა? ხომ დაგარწმუნე? თითქოს საბოლოოდ აჯამებდესო, ისე ასკვნის:

— აი, ამისკენ ვილტვით.

ნ. ჩერემისინა.
ქ. ნალჩიკი.

სურათზე: ვ. გ. ხორგუანი.

ძმობის ქვეყანა

მუსიკა ო. თევდორაძისა — ტექსტი ჯ. ჩარკვიანის.



სამოცი დროშის ფრიალმა ერთად შეგვყარა,
ვხედებით სამშობლოს დიდ განთიადს,
ზეიმობს ჩვენი ურღვევი ძმობის ქვეყანა,
მისდამი რწმენა მზედ ანთია.

მისამღერი: სამშობლოვ, ნიადაგ ვარსკვლავებს გინთებდეთ,
დიდებით გამკობდეთ სამარის კარამდის,
შენს ტკივილს და ურვას აროდეს ვითმენდეთ,
შენს სახელს ვფიცავდეთ მარადის.

ისმის თხუთმეტი მძლე რესპუბლიკის სიმღერა,
ედება სივრცეს და მწვერვალებს,
გულში დიადი ზეიმის სითბო ილვრება,
ხალხთა სიკეთის მზე ელვარებს.

მისამღერი:

მშვიდობის მძლავრი ბურჯია ჩვენი ქვეყანა,
კიდით კიდემდე ვრცლად გაშლილი,
ნათელი ძმობის სიმღერა მიგვაქვს მზესთანა,
ყველგან გაისმის ეს ძახილი.

მისამღერი:

სიყვარულის უკვდავება

ბალეტი „რომეო და ჯულიეტა" თბილისის სცენაზე

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ [illegible] ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შემოქმედებითი [illegible] ის დიდ ფურცელ გახდა კომპოზიტორ სერგეი პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა", რომლის პრემიერამ წარმატებით ჩაიარა 29 დეკემბერს. მშობლიური თეატრის სცენაზე თბილისელები პირველად გაეცნენ იმ კომპოზიტორის ბალეტს, რომელთანაც მათ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. გავიხსენოთ საბჭოთა კულტურის ისტორიაში აღბეჭდილი ფაქტი, როცა მუდამ თავშეკავებულმა პროკოფიევმა აირბინა სცენაზე, რათა გადახვეოდა და გულში ჩაეკრა ახალგაზრდა დირიჟორი ევგენი მიქელაძე, რომლის ხელმძღვანელობით თბილისში შესრულდა კომპოზიტორის მესამე საფორტეპიანო კონცერტი... საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი რუსი კომპოზიტორის ნაწარმოებთა საუკეთესო შემსრულებლად აღიარებულია პიანისტი ლექსო თორაძე, ხოლო მუსიკის შესანიშნავ ინტერპრეტატორად ჯანსუღ კახიძე... და აი, ახალი წლის წინ კვლავ შეხვდით გამოჩენილი ხელოვანის შემოქმედებას — მის ბალეტს „რომეო და ჯულიეტას".

შექსპირის თემის ბალეტში გადმოტანა ყოველთვის ინტერესს იწვევს. თავისი სცენური ისტორიის მანძილზე ვერონელ შეყვარებულთა ტრაგედია სულ სხვადასხვაგვარად ესმოდათ. როგორც ფეოდალიზმის მხილება და როგორც აღორძინების ჰუმანიზმის ჰიმნი, როგორც სიცოცხლესა და სიკვდილზე ფილოსოფიური ფიქრიც და, რა თქმა უნდა, როგორც სიყვარულის აპოთეოზი. თბილისის თეატრის მთავარი ბალეტმაისტერის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის მიხეილ ლავროვსკის მიერ დადგმული სპექტაკლი, უწინარეს ყოვლისა მოგვითხრობს სიჭაბუკის სიწმინდესა და ადამიანის ბედნიერების უფლებაზე. მას, შესანიშნავ მოცეკვავეს, რომელმაც შექმნა დასამახსოვრებელ სახეთა მთელი გალერეა, კარგად ესმის ქორეოგრაფიული ენის სინატიფე, რომელიც ცოცხლდება მხოლოდ შესრულების დროს. შექსპირის კლასიკური მემკვიდრეობისადმი მიხეილ ლავროვსკის მოწიწებული — სხვაგვარად ვერ ვიტყვით — დამოკიდებულება დაეხმარა მას მაყურებლამდე მიეტანა მთავარი — ეპოქის სუნთქვა. იგი აქ ყველაფერში იგრძნობა: კოსტიუმებსა და დეკორაციებში, მიზანსცენების აგებაში, თვით მოქმედების ტემპში. თბილისის თეატრში „რომეო და ჯულიეტა" გამოცდილი ოსტატის, დიდი ხელოვნის მიერ დადგმული სპექტაკლია, რომელიც გამოხატავს 80-იანი წლების საბალეტო თეატრის ესთეტიკასა და პრინციპებს.

მიხეილ ლავროვსკიმ (იგი ლიბრეტოს ავტორიც არის და რომეოს პარტიის შემსრულებელიც) ბალეტის ახალ რედაქციაში ძირითადად შეინარჩუნა მისი კლასიკური დადგმის ქორეოგრაფია, რომელიც ორმოციან წლებში განახორციელა მამამისმა — სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მთავარმა ბალეტმაისტერმა ლეონიდ ლავროვსკიმ. მაგრამ ამავე დროს მან შექმნა უფრო დინამიკური სპექტაკლი, ძირითადი ყურადღება დაუთმო მის იდეას — სინათლე, გონება და ჰუმანიზმი დაუპირისპირა ულმობლობას, ჩამორჩენილობასა და წყვდიადს.

საოცრად ლამაზია ეს სპექტაკლი. თითქოს ბოტიჩელის „გაზაფხულიდან" ჩამოვიდა ცეკვის სამყაროში ნორჩი ჯულიეტა — ნათელა არობელიძე... კომპოზიტორმა სულ ერთი საათი დაუთმო ბალეტმაისტერს იმისათვის, რომ გმირებს გაევლოთ ბედნიერების, სიხარულის, სიყვარულის გზა ტრაგედიისაკენ. ქართული დასის დადგმა ზუსტად გადმოგვცემს დიდი პროკოფიევის მუსიკაში ჩაქსოვილ ემოციათა უჩვეულოს კონცენტრაციას, ამ სპექტაკლს დიდი, ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება უწერია.

სპექტაკლის წარმატება სამართლიანად გაიზიარეს მთავარი პარტიების შემსრულებლებთან ერთად დასის სოლისტებმა ნუგზარ მაღალაშვილმა, მაკა მახარაძემ, თამაზ ქამხაძემ, ამ წარმოდგენის ყველა მონაწილემ, დირიჟორმა ირაკლი ჭიაურელმა, მხატვარმა თეიმურაზ მურვანიძემ, ბალეტმაისტერმა ალექსანდრე პლისეცკიმ.

პრემიერას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები გ. ნ. ენუქიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე. (საქინფორმი).

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „რომეო და ჯულიეტა". რომეო — მ. ლავროვსკი, ჯულიეტა — ნ. არობელიძე.
ვ. ბენიძურის ფოტო.

სპორტი — მშვიდობის დესპანი

ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ხნის წინათ, საქართველოს კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გუნდის საფრანგეთში გამგზავრების წინ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ნელი სალაძემ ჟურნალისტებისათვის მიცემული ინტერვიუ შემდეგი სიტყვებით დაასრულა: ვეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ ფრანგების წინაშეო.

იმის დასტურად, თუ რამდენად გაამართლეს ეს სიტყვები ჩვენმა გოგონებმა, მოგვყავს რამდენიმე გამონათქვამი თვით ფრანგული პრესიდან:

„რამდენიმე წელია ქალაქ კალეს „ედგარ კინის" დარბაზი არ აღელვებულა ისე, როგორც გუშინ საღამოს, როდესაც ათას ხუთასი მაყურებელი აღტაცებული შეხვდა საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ეროვნულ გუნდს. არავინ ელოდა შორეული კავკასიიდან სტუმრად ჩამოსული გრაციების ასეთ საყოველთაო წარმატებას და არც იმას, რომ საჭირო გახდებოდა საჩვენებელი გამოსვლების ნახევარი საათით გვიან დაწყება, რათა წვიმაში მომლოდინე ასობით მაყურებელს დარბაზში შეღწევის შესაძლებლობა მისცემოდა.

ჩვენ კვლავ და კვლავ გავიხსენებთ ამ საღამოს, რომელიც შთამბეჭდავად წარმართეს ქართველმა სპორტსმენებმა კალელ გოგონებთან ერთად და ამით უზომო სიამოვნება მიანიჭეს მაყურებელს. ასეთი საღამოებით არასოდეს არ ილლები. და ბოლოს, თვალსა და ხელს შუა მიილია საღამოსათვის განკუთვნილი დრო და ასობით თაყვანისმცემელმა დიდი სინანულით დატოვა დარბაზი უაღრესად მაღალ დონეზე გამართული ინტერნაციონალური სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, რომელიც დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა. ამ სანახაობის ხილვის ბედნიერება იმავე საღამოს ჰქონდა, აგრეთვე, ათიათასობით ტელემაყურებელსაც" („ლავუა დიუ ნორი").

„ქართველმა ოსტატებმა სრულიად ახალი შინაარსით წარუდგინეს პარიზელებს მხატვრული ტანვარჯიში. მათ ნებისმიერ გამოსვლაში, იქნებოდა ეს ინდივიდუალური თუ ჯგუფური, დომინირებდა მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნება, ხელოვნება და ისევ ხელოვნება. ჩვენი ყურადღება მიიქცია უაღრესად დახვეწილმა პლასტიკამ, და, რაც მთავარია, საბალეტო ელემენტების ორიგინალურმა ინტერპრეტაციამ. მაგრამ საოცარია ის, რომ ეს ყველაფერი სრულდებოდა სპორტული კანონების მტკიცე დაცვით. ქართველ გოგონათა საჩვენებელი ვარჯიშები ამავე დროს ერთგვარად სასკოლო გაკვეთილებსაც წააგავდა, ხოლო მსოფლიო ჩემპიონის ირინე გაბაშვილის სოლო გამოსვლა ხელოვნების მნიშვნელოვან ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ". („მატენი").

„გამონაკლისის სახით გუშინ „ვილბეფის" დარბაზი დაეთმო სპორტულ პროგრამას საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ეროვნული გუნდის სენტ-ეტიენში ჩამოსვლის გამო.

ამფითეატრი სავსე იყო მაყურებლით. საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა წარმოადგინეს სანახაობა ბალეტის სახით, რომელშიც რვა გოგონა მონაწილეობდა, მარინე მორბედაძემ, საუკეთესო რგოლით ვარჯიშში, ერთბაშად მოხიბლა წარმტაცი სპექტაკლის მოწმე მაყურებელი. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად უაღრესად რთულ ჯგუფურ გამოსვლას გურზებით, მაგრამ რგოლით ჯგუფური ვარჯიშის სინარნარემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მან პირდაპირ მოგვნუსხა.

ქართველი გოგონების ყოველ გამოსვლას, როგორც კანონი, უცილობლად საფუძვლად, ედო სამხრეთული სიმკვირცხლით შეზავებული მომხიბვლელი გრაცია. და არც არის გასაკვირი, როდესაც ოლიმპიური ასპარეზობის დებიუტანტის, მხატვრული ტანვარჯიშის ბედ-იღბალი ასეთი დახელოვნებული ოსტატების ხელშია, იგი ყოველთვის გადაიქცევა ხოლმე ზღაპრულ სანახაობად, როგორც ეს გუშინ მოხდა სენტ-ეტიენში" („ლა ტრიბუნ ლე პროგრე").

ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ (ხელმძღვანელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. შუბლაძე) წარმატებით დაიცვა საბჭოთა სპორტის ღირსება და კიდევ უფრო განამტკიცა ქართული მხატვრული ტანვარჯიშის საერთაშორისო ავტორიტეტი. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ირინე გაბაშვილი, ირინე ქემხუჯიძე, მარინე მორბედაძე, ინგა საკაშვილი, ვალენტინა გონჩუკოვა, ნატალია რუტმანი, ვიქტორია დარბაიძე, მარიკა გოგოლაშვილი და ნინო გრიშაშვილი. ჩვენმა გოგონებმა თავიანთი ოსტატობა წარუდგინეს საფრანგეთის ხუთ ქალაქს — პარიზს, სენტ-ეტიენს, ლიონს, გრენობლსა და კალეს.

...უკან დარჩა მომხიბვლელი საფრანგეთი, საინტერესო შეხვედრები, ახლად შეძენილი მეგობრები. დადგა შთაბეჭდილებათა გაზიარების დროც:

— საქართველოს მხატვრული ტანმოვარჯიშეები უწინაც მრავალგზის შეხვედრიან საზღვარგარეთელ მაყურებლებს, — გვითხრა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნელი სალაძემ, — მაგრამ რესპუბლიკის სახელით, ასე მთლიანი გუნდით, პირველად გამოდიოდნენ. რაც მთავარია, საქართველოს კულტურის დღეები დაემთხვა დიად თარიღს — საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის საიუბილეო ზეიმის წინა პერიოდს. ამდენად გასაგები იყო ჩვენი გოგონების მღელვარება: მათ ხომ განსაკუთრებული მისია — ქართული მხატვრული ტანვარჯიშის სკოლის წარმოჩენა ევალებოდათ.

თავდაპირველად ვღელავდით იმიტომაც, რომ არ ვიცოდით როგორ მიგვიღებდა მრავალისმხილველი პარიზელი მაყურებელი. მაგრამ წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა — იყო დაუსრულებელი ოვაციები, თაიგულები, ავტოგრაფები. უნდა აღვნიშნო, რომ თითოეული ქალაქი კარგად იყო ინფორმირებული ჩვენი ჩასვლის შესახებ. ფრანგული პრესა და ტელევიზია ფართოდ გამოეხმაურა ქართველი გოგონების გამოსვლებს, გულთბილ და დაუვიწყარ შეხვედრებს გვიწყობდნენ მერიებში. ფრანგმა საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ჩვენი გოგონების მიმართ: ხშირად დარბაზი ვერ იტევდა მაყურებელს, ხოლო ქალაქ ლიონში, როგორც შემდეგ გვითხრეს, მაყურებელთა ნახევარზე მეტი უბილეთოდ დარჩენილა. მოგეხსენებათ, მხატვრულ ტანვარჯიშში ასეთი რამ იშვიათად ხდება.

გულითად მადლობას მოვახსენებ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებსა და სპორტკომიტეტს ასეთი დიდი ნდობისა და ზრუნვისათვის, ვამაყობ ჩვენი გოგონებით, რომლებმაც ეს ნდობა გაამართლეს და ღირსეულად დაიცვეს საბჭოთა სპორტის, ქართული მხატვრული ტანვარჯიშის ღირსება და, რაც მთავარია, თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ნ. თათელაძე.

სურათზე: საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გუნდი (ქალაქ კალეს გაზეთ „ნორ ლიტორალში" დაბეჭდილი ფოტო).

მეგობრობაზე თქმული

- მეგობარი გაშლილ ველზე ბრძოლაში გამოიცნობა, განა ველზე გაშლილ ნადიმზეო.
- არც ტაში არსებობს ცალხელა და არც მეგობრობა — ცალმხრივიო.
- უძმობა მშობლებს უსაყვედურე, უმეგობრობა — საკუთარ თავსაო.
- მეგობრობას სათუთობა უხდება, განა სათუობაო.
- ცუდი ძმა არსებობს, ცუდი მეგობარი — არაო.
- ბამმა თქვა, თუ მეგობრობის ხილვა გსურთ, მეწვიეთო.

ვახტანგ ჯავრიშვილი.

ი. კვანტალიანი

გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1927 წლიდან სკკპ წევრი ილია დავითის ძე კვანტალიანი.

ი. კვანტალიანი დაიბადა 1892 წელს დაბა კულაშში. 1928 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში მთავარი ექიმის მოადგილედ და მეანობა-გინეკოლოგიის განყოფილების ორდინატორად. 1930 წელს იგი სათავეში ჩაუდგა მისივე ინიციატივით გახსნილ თბილისის რკინიგზის საბებია-საფერშლო სკოლას. 1938 წლიდან 1977 წლამდე მუშაობდა ქ. თბილისის პირველი სამშობიარო სახლის, ხოლო შემდეგ მეხუთე სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად.

1958-1961 წლებში იგი ქ. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მთავარი მეანგინეკოლოგია.

ი. კვანტალიანს მეანობა-გინეკოლოგიის აქტუალურ საკითხებზე შესრულებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ორი მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო. განსაკუთრებით საყურადღებოა მშობიარობის დროს ატონიურ სისხლდენასთან ბრძოლის მიზნით მის მიერ შემუშავებული მეთოდი, რომელსაც იყენებენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის კლინიკებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ი. კვანტალიანი იყო აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი. წლების მანძილზე ითვლებოდა რესპუბლიკის მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრად, ქალთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, მედლებითა და საპატიო სამკერდე ნიშნებით. შესანიშნავი მკურნალის ი. კვანტალიანის სახელი დიდხანს დარჩება კოლეგებისა და ყველა იმათ ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა, მასთან მკურნალობდა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; საქართველოს კომპარტიის თბილისის გლდანის რაიკომი.

დაასახელეს 11 საუკეთესო

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი და ამ დროის სიმბოლური ნაკრები

ᲒᲐᲖᲔᲗᲛᲐ „ტრუდმა" მოაწყო სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვა, მათ უნდა დაესახელებინათ სსრ კავშირის ის ფეხბურთელები, რომლებსაც სსრ კავშირის შექმნიდან 60 წლის განმავლობაში საუკეთესოებად მიიჩნევდნენ. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს საკდესის, ახალი ამბების სააგენტოს, სახტელერადიოს, გაზეთების — „პრავდის", „იზვესტიის", „კომსომოლსკაია პრავდის", „კრასნაია ზვეზდის", „სოვეტსკაია კულტურის", ჟურნალების — „ოგონიოკის", „სმენის", დარგობრივი, რესპუბლიკური, ახალგაზრდული, საღამოს გაზეთებისა და სპეციალური სპორტული გამოცემების წარმომადგენლებმა. გამოკითხვაში სულ მონაწილეობდა 104 ჟურნალისტი, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის სპორტული მიმომხილველები. მას შემდეგ, რაც გაზეთ „ტრუდის" რედაქციაში სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს კონკურსი დაჯამდა, ქვეყნის ფეხბურთელთა სიმბოლურმა ნაკრებმა (ფორმულა ამგვარი იყო: 1-4-3-3) ასეთი სახე მიიღო; ლევ იაშინი (მოსკოვის „დინამო", ხმა მისცა 92-მა ჟურნალისტმა), მურთაზ ხურცილავა (თბილისის „დინამო", 71), ალბერტ შესტერნიოვი (ცსკა, 70), ანდრია სტაროსტინი (მოსკოვის „სპარტაკი", 53), (ალექსანდრე ჩივაძე (თბილისის „დინამო", 62), ვალერი ვორონინი (მოსკოვის „ტორპედო", 82), იგორ ნეტო (მოსკოვის „სპარტაკი", 79), დავით ყიფიანი (თბილისის „დინამო", 67), გრიგოლ ფედოტოვი (ცსკა, 84), ედუარდ სტრელცოვი (მოსკოვის „ტორპედო", 86), ვსევოლოდ ბობროვი (ცსკა, 83).

ხმების მიხედვით ქვეყნის მეორე ნაკრებში მოხვდნენ ა. ხომიჩი (მოსკოვის „დინამო"), რ. ძოძუაშვილი (თბილისის „დინამო"), ა. ბაშაშკინი (ცსკა), კ. კრიჟევსკი (მოსკოვის „დინამო"), ა. დემიანენკო, ვ. ბესონოვი, ვ. კოლოტოვი, ლ. ბურიაკი (ოთხივე — კიევის „დინამო"), ბ. დემენტიევი (ლენინგრადის „დინამო") ნ. სიმონიანი (მოსკოვის „სპარტაკი") და ო. ბლოხინი (კიევის „დინამო").

ტელევიზია

30 დეკემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — „მეგობრობის ფერხული". კონცერტი. 10.30 — საცკოლო არდადეგების დღეებში. მხატვრული ფილმი „ორი მეგობარი". 11.40, 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.20 — „საახალწლო კარნავალი". 16.50 — რეპორტაჟი საკავშირო სამხატვრო გამოფენიდან „სსრ კავშირო ჩვენი სამშობლოა". 17.20 — საჭადრაკო სკოლა. 17.30 — დოკუმენტური ფილმი „რესპუბლიკათა და გულთა კავშირი". პრემიერა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — კინოპანორამა ეგებება სტუმრებს. 00.20 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 20.50 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.05 — მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში ახალგაზრდულ გუნდებს შორის სსრ კავშირის ნაკრები — კანადის ნაკრები. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „პაკეტი".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მხატვრის სამყარო". 10.00 — „მოამბე". 10.45 — „სსრკ-60" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ნახოდკა" და „ქალაქი ჩემი — სვეტლოვოდსკი". 11.20 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — მულტიპლიკაციური ფილმი „როგორ მოვიდა ზამთარი ტყეში". 11.35 — ფშაური ფოლკლორი. 12.15 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 12.45 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა (განმეორებით). 14.15 — მხატვრული ფილმი „მეშვიდე ცა". 15.50 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი". სატელევიზიო ჟურნალი. 16.35 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.05 — „მუსიკა-82". 18.30 — „ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!" — ქ. ზუგდიდი. 19.25 — დოკუმენტური ფილმი. 19.45 — „მოამბე". 20.35 — მხატვრული ფილმი „თვალი არ მოაშორო". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „ახალგაზრდული შეხვედრები". დასასრულ ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოეთის ეტიუდები". 17.45 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია. 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.10 — განცხადებები. 19.15 — მხატვრული ფილმი „ორნი ახალ სახლში".

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება და პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 76 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ქრისტეფორე იოსების ძე არეშიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08595 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20